სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
სამაგისტრო პროგრამა

1. **ანთროპოლოგიური თეორიები Anthropological Theories**

სალექციო კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს შეისწავლონ ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია ძირითადი თეორიული მიმდინარეობების განვითარებისა და სკოლების ჩამოყალიბების ფონზე, გააცნოს დარგის განვითარების ახალი ტენდენციები. ანთროპოლოგიური თეორიების, ძირითადი საკვლევი პრობლემების, თეორიულ-მეთოდოლოგიური სკოლების ანთროპოლოგიური იდეების განვითარების დინამიკა და განვითარების პერსპექტივები

2. **კვლევის თვისობრივი მეთოდები (საველე ეთნოგრაფია) Qualitative Research Methods (Ethnography)**

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს შეისწავლონ ეთნოლოგიური კვლევის აპრობირებული ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდები და ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილება დასახული მიზნის მისაღწევად.

3. **პრაქტიკა I (practice I)**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები თეორიული ცოდნის აპრობაცია მოახდენენ და გამოიმუშავებენ დამოუკიდებელი კვლევის უნარებს, მასალის ემპირიული ფიქსაციიდან დაწყებული სინთეზის, ანალიზისა და განზოგადების უნარით დამთავრებული. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებად ჩამოუყალიბდებათ მასალის ემპირიული ფიქსაციის ტექნიკა და სტრატეგიები; კურსის გავლის შემდეგ შეძლებენ დამოუკიდებლად, საველე პირობებში ზუსტად ჩამოაყალიბონ საკვლევი პრობლემა და თავი გაართვან საკვლევი ჰიპოთეზის დასადასტურებლად აუცილებელი მასალის შეკრებას.

4. **პრაქტიკა II (practice II)**

კურსის სტუდენტებს აძლევს ცოდნას და გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარს რაოდენობრივი კვლევების ჩატარებისათვის ისეთ აუცილებელ საფუძვლებში, როგორებიცაა: შერჩევის მეთოდოლოგია, კითხვარის შედგენა, პილოტაჟური და ძირითადი გამოკვლევა.

5. **რელიგიის ანთროპოლოგია (Anthropology of Religion)**

სალექციო კურსი მაგისტრანტებს გააცნობს რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის საფუძვლებს და რელიგიურ ვითარებას თანამედროვე მსოფლიოში. სალექციო კურსი გაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ბლოკში შედის რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის თეორიული საკითხები, მეორე ბლოკში განხილული იქნება თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი რელიგიური მიმდინარეობები და ჯგუფები, მათი ჩამოყალიბების ისტორია, მოძღვრების არსი და პრაქტიკა, მესამე ბლოკი დაეთმობა

თანამედროვე საქართველოში რელიგიური სიტუაციის განხილვას.

6. **ვიზუალური ანთროპოლოგია (Visual Anthropology)**

სალექციო კურსში განხილული იქნება ვიზუალური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია (რ. ფლაერტი, ჰ. ბეიტსონი და მ. მიდი); ამ სფეროში დაგროვილი მეთოდოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და თეორიული საკითხები; ვიზუალური ანთროპოლოგიის ქვედარგები (ჩანახატები, ფოტო-, ვიდეო მასალა), ეთნოგრაფიული კინოს სამეცნიერო სკოლები (ჰარვარდის სკოლა, ფრანგული სკოლა, კალიფორნიული სკოლა, კანადური პროექტი, ავსტრალიური სკოლა). კონტაქტური ანთროპოლოგიისა და "ბიოდოკუმენტური" კინოს (ს. უორტის, ჯ. ადერის, ა. ბალიკჩის პროექტები) არსი და პრობლემები, კულტურის დოკუმენტაციის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, თანამედროვე ვითარება ვიზუალურ ანთროპოლოგიაში, მათ შორის საქართველოში (ეთნოგრაფიული ფილმი საქართველოში, არქივები)

7. **ლინგვისტური ანთროპოლოგია (Linguistic Anthropology)**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტი გაეცნობა ენის როლს კულტურულ-სპეციფიკური ქცევის ფორმირებაში, ენის, როგორც ყველაზე ძლიერი მედიუმის, როლს კულტურაში; ყურადღებაა გამახვილებული ენობრივ სოციალიზაციასა და მისი გზით იდენტობის ფორმირებაზე; ამავე დროს, აჩვენებს ენის, როგორც ნაციონალიზმის, იდეოლოგიის, ძალაუფლების, ჰეგემონიის, დისკრიმინაციისა და სექსიზმის ინსტრუმენტის როლს.

8. **სამედიცინო ანთროპოლოგია (Medical Anthropology)**

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან სამედიცინო ანთროპოლოგიის არსს, ჯანმრთელობის, დაავადებისა და მკურნალობის ურთიერთმიმართების საკითხებს, ზოგადად და კერძოდ - საქართველოში, ჯანმრთელობის დაცვის ხალხური სისტემას ტრადიციულ საზოგადოებაში და მის სოციოკულტურულ ასპექტებს

9. **ეკონომიკური ანთროპოლოგია (Economic Anthropology)**

სალექციო კურსი სტუდენტებს აცნობს ეკონომიკური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიას, ეკონომიკური ცხოვრების ანთროპლოგიური შესწავლისა და კონცეპტუალიზაციის ისტორიას, ასევე ძირითად სოციალურ თეორიებს (ჯ. ლოკი, კ. მარქსი, გ. ზიმელი, მ. მოსი კ. პოლანი, ჟ. დერიდა და სხვ.), ეკონომიკური ანთროპოლოგიის ძირითად საკითხებს (სასაქონლო გაცვლა, საჩუქარი, კორუფცია, წარმოება, მოხმარება) და თანამედროვე თეორიულ საკითხებს.

10. **ბიოლოგიური ანთროპოლოგია (Biological Anthropology)**

სალექციო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტები გაეცნობიან ფიზიკური ანთროპოლოგიის არსსა და მის დარგებს: მორფოლოგიას, ანთროპოგენეზისსა და რასათმცოდნეობას. მაგისტარნტები შეისწავლიან ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ, ასაკობრივ, სქესობრივ და ტერიტორიულ თავისებურებებს, ადამიანის წარმოშობასა და

ჩამოყალიბებას, ადამიანის რასებისა და ეთნიკური ჯგუფების მორფოლოგიურ თავისებურებებსა და ვარიაციებს.

11. ძალადობის ანთროპოლოგია (Anthropology of Violence)

სასწავლო კურსი მაგისტარნტებს აცნობს ძალადობის კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ძალადობის გამოვლინებათა ანთროპოლოგიური კვლევის მიზნებს. კავკასიის ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს ძალადობის ფორმების კავშირს საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების გარკვეული ეტაპისთვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემებთან და ძალადობის ფორმათა დინამიკის დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე.

12. საქართველოს ეთნოლოგია (Ethnology of Georgia)

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები სწავლობენ ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სულიერი კულტურის და სოციალური ურთიერთობების საკითხებს.

13. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია (Ethnology of the Caucasian Peoples)

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან კავკასიის ეთნოლოგიის ყველა მნიშვნელოვან პრობლემას, როგორც ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიას, ისე ეთნიკურ კულტურას, კავკასიის ხალხთა ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვან ასპექტებს.

14. მოქალაქეობა და ეროვნული იდენტობა (Citizenship and National Identity)

კურსის მიზანია მაგისტრანტებისათვის მოქალაქეობისა და ეროვნული იდენტობის ძირითადი პრინციპების გაცნობა. შეასწავლის განვითარების სხვადასვა ეტაპზე მოქალაქეების მიერ მოპოვებულ უფლებებს. კურსი განიხილავს ინდივიდუალურ დონეზე მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს მიმართ უფლება-ვალდებულებების გაცნობიერების ხარისხს და განხორციელებულ ქმედებებს, სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მოქალაქეთა უფლებების ლეგალური და რეალური უზრუნველყოფას.

15. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის კვლევა ანთროპოლოგიური პოზიციიდან (Anthropological Approaches to the Post-Socialist Transformation)

სალექციო კურსის ფარგლებში ნაგისტრანტები შეისწავლიან სოციალური ანთროპოლოგიის პოზიციიდან როგორ ხდება იმ ცვლილებების შესწავლა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბლოკის დანგრევის შემდეგ მოხდა. კურსის მთავარი მიზანია სოციალურ ანთროპოლოგიაში პოსტსოციალისტური ცვლილებების თემაზე მომუშავე მეცნიერების ნაშრომების გაცნობა. მაგისტრანტები შეისწავლიან სოციალური

ანთროპოლოგიის საგნის ძირითად საკითხებს, რომელთაც პოსტსოციალისტური ცვლილებები შეეხო.